

ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისათვის დრეკადობის თეორიის ანტიბრტყელი ამოცანების მიახლოებითი ამონახსნის სასრულ-სხვაობიანი მეთოდის შესახებ

სასაზღვრო ამოცანების შესწავლას ბზარებით შესუსტებული შედგენილი სხეულებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გამოსაკვლევი ამოცანების მათემატიკური მოდელის საწყის მიახლოებად შეიძლება გამოყენებული იქნას დრეკადობის ანტიბრტყელი თეორიის განტოლებები ბზარებით შესუსტებული შედგენილი (უბნობრივ-ერთგვაროვანი) სხეულებისთვის. ბზარის ამოცანას სასრულ-სხვაობიანი მეთოდით ორთოტროპულ (კერძო შემთხვევაში იზოტროპულ) სხეულისათვის კვადრატული არის შემთხვევაში, საწყის ეტაპზე ვიხილავთ ერთგვაროვანი, შემდეგ კი უბნობრივ-ერთგვაროვანი სხეულისათვის. ზემოაღნიშნული ამოცანების თეორიული კვლევის გარდა ჩვენი მიზანია ავაგოთ სწრაფად კრებადი რიცხვითი მეთოდი.